ბრძანება:**ბ47. 4722325001**
თარიღი:**21/11/2022**

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი

სხდომის მოწვევის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის 1-ლი პუნქტის , 61 -ე მუხლის მე-3 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 აპრილის №9 დადგენილებით დამტკიცებული ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის მე-40 მუხლის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. მიმდინარე წლის 29 ნოემბერს დღის 12 საათზე, მოწვეულ იქნეს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. ,,დაბა ჩოხატაურში ადგილობრივი მნიშვნელობის გზებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებების მოძრაობის ორგანიზების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 10 ნოემბრის N29 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

მომხსენებელი: ნოდარ ჟღენტი

1.2. ,,ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 28 დეკემბერის №12 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე“ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების გამოსაცემად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

მომხსენებელი: მაია გოგოლაძე

1.3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (სასოფლო ამბულატორიები) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით ა(ა)იპ ,,საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგი“-სათვის (ს/ნ -402157330) გადაცემის შესახებ ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.4. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული დაბა ჩოხატაურში დუმბაძის ქ. N20-ში მდებარე შენობა-ნაგებობის პირველ სართულზე არსებული 55.80 კვმ. არასაცხოვრებელ ფართის (ს/კ - 28.01.21.003) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ,,ოდა ქეარ“-ისათვის (ს/კ - 437373156) გადაცემის შესახებ - ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ თანხმობის მიცემის თაობაზე

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.5. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების 2022 წლის დამატებითი ნუსხისა და დამატებითი პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.6. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე 2 ერთეული უძრავი ქონების (სასოფლო ამბულატორიების მიწის ნაკვეთები) სახელმწიფო საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ“

მომხსენებელი: ვალერი ყაჭეიშვილი

1.7. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 03 დეკემბრის N64 განკარგულებაში „ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების წევრთა რაოდენობისა და პროპორციული წარმომადგენლობის კვოტების განსაზღვრის შესახებ“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.8. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაბა ბახმაროს ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე უსახელო მწვერვალისთვის „გმირების მწვერვალის“ სახელის მინიჭების შესახებ.

მომხსენებელი: მარინე ბერაძე

1.9. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მერიის არქიტექტურის, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ანგარიში მიმდინარე წლის 9 თვეში გაწეული მუშაობის შესახებ.

მომხსენებელი: მერაბ ბერძენიშვილი

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, ოზურგეთის რაიონული სასამართლოს მაგისტრატ სასამართლოში ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში, მისამართზე – ჭავჭავაძის ქ. N 4.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ირაკლი კუჭავა

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი